აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 19

28 აგვისტო 2012 წელი **ქ. ბათუმი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 119-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „2012 წლის 1 ოქტომბრის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისათვის რიგითი ნომრის მინიჭების წესის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 21 აგვისტოს №10 დადგენილების და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 7 აგვისტოს №135 და 2012 წლის 20 აგვისტოს №193 განკარგულებების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

№1 - პოლიტიკური გაერთიანება „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“;

№5 - პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“;

№9 - „სამართლიანი საქართველოსთვის“;

№10 - საარჩევნო ბლოკი „გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატიული გაერთიანება“;

№17 – „სახალხო მოძრაობა“;

№18 – „ხალხის პარტია“;

№23 – „ჯონდი ბაღათურია - ქართული დასი“;

№24 –„ახალი მემარჯვენეები“;

№38 – „შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;

№41 საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“;

№43 - „დემოკრატიული სიმართლის პარტია“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**